"RECYCLING" LTD შპს „რეციკლინგი"

24 a, Moscow ave, Tbilisi, Georgia
საქართველო
Tel: (+99532) 270 91 81

მოსკოვის გამზ. 24ა, თბილისი,
საიდენტიფიკაციო კოდი 406060042

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „რეციკლინგი"-ს დაგეგმილი აქვს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა N7-ში მდებარე 4 337.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „რეციკლინგი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 02.05.03.705)

საწარმოში დაგეგმილია არასახიფათო ნარჩენების (საბურავების, კაბელების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ელექტრო ხელსაწყოების, ალუმინის კომპოზიტური მასალების, ალუმინის ქილების) და სახიფათო ნარჩენების (ნამუშევარი ზეთებისა და ზეთის ფილტრების) გადამუშავება და ხის ნახშირის წარმოება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-16 პუნქტის თანახმად „სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს. ამასთანავე, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. „რეციკლინგი"-ს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში და დოკუმენტის ელ. ვერსია;

№ 3813
04 03 2021
2/CD

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

ჰაქან იავუზ

შპს „რეციკლინგი"-ს დირექტორი